№ 11 1883—1896 15 ივნისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა,

ძეფე ბოლშისა, დიდი მთავარ ფინლანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

ვუცხადებთ ყოველთა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა:

ნებითა და წყალობითა უფლისა ყოვლისმპყრობელისა შევასრულეთ რა ამა ბრწყინვალესა დღესა წესი წმინდის გვირგვინის კურთხევისა და მივიღეთ რა წმინდა მირონცხება, შევუერთდებით ტახტსა ქვეშეცთა მეუფისა გულ-მხურვალე ლოცვით, რათა აკურთხოს მან მეფობა ჩვენი კეთილ მისაგებელათ საყვარლისა სამშობლოისა და განგვამტკიცოს ჩვენ შესრულებათ წმიდისა აღთქმისა ჩვენისა — მტკიცეთ და განუხრელათ განვაგრძოთ გვირგვინოსანთა წინაპართა მიერ ჩვენდამო სამკვიდროთ გადმოცემული საქმე რუსეთის ქვეყნების განწყობისა და მათ შორის სარწმუნოებისა, კეთილთა ზნეთა და ჭეშმარიტის განათლების დამკვიდრებისათვის.

შევიგნეთ რა საჭიროება და მწუხარე მდგომარეობა ყოველთა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა და მივაპყრობთ რა თვალთა ჩვენთა განსაკუთრებით შეჭირვებულთა და ტვირთ მძიმეთა, თუნდ რომ ისინი თვისი ნებით და დაუდევრობით შთავარდნილ იყონ ამა მწუხარე მდგომარეობაში, მივენდობით ჩვენსა გულის-ზრახვასა, რათა მივანიჭოთ ამათაც შეძლებისამებრ საღავათი და ამ ღირსშესანიშნავს დღეს ჩვენის წმინდის კურთხევისა მეფობაზე, ისინიც განახლებული ცხოვრებით და სიხარულით ეგებებოდენ მთელის ერის სიხარულს და აღტაცებას.

ამ განზრახვით ყოვლად მოწყალედ ვბრძანებთ.

I. მიენიჭოს ქვემო მოხსენებული საღავათი სხვა და სხვა გადასახადებზე:

1. განირიცხოს ყველა შემოუტანელი ხარჯები (ნედოიმკები), რაც არის 1896 წლის 1-ლს იანვრამდე:

ა. ევროპის რუსეთის გუბერნიებში—სახელმწიფო ადგილ-მამულის გადასახადი, და

ბ. პოლონიის სამეფოს გუბერნიებში – ადგილ-მამულის გადასახადი, გმინის სასამართლოებისათვის შეწერილი გადასახადი და საკვამლო გადასახადი გლეხებზე, რომელნიც ცხოვრებენ სოფლათ, დაბებში და ოჯახებში.

2. ათი წლის განმავლობაში ამ 1896 წლიდან მოკიდებული გამოერთვას სახელმწიფო ადგილ-მამულის გადასახადი ევროპის რუსეთში ყოველ წოდების მცხოვრებთა, მხოლოთ ნახევარი იმისა, რაც აქამომდე შეწერილი ჰქონდათ. ხოლო იმ გუბერნიებში, საცა საშუალო გადასახადი აღემატებოდა დესიატინაზე ორ შაურს, იმათ დესიატინაზე გადახდება მხოლოთ ერთი შაური.

3. ამავე მეორე მუხლში ნაჩვენებ ვადის განმავლობაში გადახდეს, მხოლოთ ნახევარი ხარჯი პოლონიის სამეფოს გუბერნიაში მცხოვრებთა საგლეხო, სადაბო და საოჯახო გადასახადი და საადგილ-მამულო გადასახადი შეწერილი გმინის სასამართლოებისათვის.

4. თუ მესამე და მეოთხე მუხლში ნაჩვენებ ათი წლის ვადაში შემცირდება ამ მუხლებში დასახელებული გადასახადები, უნდა გამოერთვას აღნიშნულ ვადამდე ნახევარი იმისა, რაც შემცირებულ გადასახადათ დადგენილი იქნება.

5. განირიცხოს ყველა შემოუტანელი გადასახადები, რომელნიც ევროპის რუსეთში დაწესებული

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ყოფილა და შემდეგ მოუშლიათ სულზე, იჯარებზე და ტყეებზე დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

6. განირიცხოს ის ნაწილი შემოუტანელი გადასახადისა, რომელიც ირიცხებოდა სულზე და იჯარებზე ციმბირში და რომელიც პიროვნულ თავდებობაზე იყო შეწერილი. დანარჩენი შემოუტანელი გადასახადები, რომელნიც ირიცხებოდენ იმათ ვადამდე თურქისტანის მაზრაში, ეგრეთვე რაც შემოუტანელი იყო ადგილის გადასახადი, ან საკომლო შემოუტანელი გადასახადი, რაც ითვლებოდა კავკასიის სოფლის მცხოვრებზე, ან კიბიტკებზე, უნდა განაწილდეს იმ ანგარიშით, რომ ყოველ წელიწადს გამოერთვას მცხოვრებს მეათედი აქამომდე დარჩენილი გადასახადისა, რომ მისი გადახდა შეივსოს ათის წლის განმავლობაში.

9. გ:ნირიცხოს 1896 წლის პირველ იანვრამდე შემოუტანელი გადასახადები:

ა. იმ კავკასიის მცხოვრებთათვის, რომელთაც ჯარის კაცის მაგიერათ ფულის გადასახადი ჰქონდათ შეწერილი, და

ბ. საკომლო გადასახადი, რომელიც კავკასიაში ქალაქის მცხოვრებლებს ჰქონდათ შეწერილი.

10. განირიცხოს ანგარიშებისგან ის ნაწილი შემოუტანელი გადასახადისა, რომელიც შეგროვილა 1996 წლის 1-ლს იანვრამდე ტყეებზე და ახდევინებდენ გლეხებს იმ მიზეზით, რომ მათ არ ჰქონიათ კუთვნილების საბუთი. აგრეთვე მცხოვრებთა სამადნო წარმოების მაზრებში. ა, თუ ეს შემოუტანელი გადასახადი აღემატება მთელი წლის გადასახადს 1895 წლისას, იმ შემთხვევაში რაც არ ეპატივება, ის უნდა განაწილდეს ისე, რომ ყოველ წელიწადს გადახდეს მხოლოთ მეხუთედი ნაწილი მთელი წლის გადასახადისა; ბ, რომელსაც ნება დართული ჰქონდათ შემოუტანელი გადასახადის გადახდა ნაწილ-ნაწილათ ხუთ წელზე მეტ ვადაში, ისინი უნდა სარგებლობდენ ამ საღავათით შემდეგაც იმ ზომით, როგორც ზევით არის ნაჩვენები.

14. ნუ გადაახდევინებთ სახელმწიფო ბეგარას, რომელიც მოხსენებულია 1—13 მუხლებში და უნდა შემოეტანათ 1896 წლის 1-ლ იანვრამდე, მაგრამ რამე მიზეზების გამო არ ყოფილა ხაზინის ანგარიში ჩარიცხული ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე.

17. რაც გადასახლებულებზე ითვლებოდა საიჯარო მიწის გადასახადი ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ყველა უნდა ეპატივოს მათ უმაღლესად დამტკიცებულის 10 ივლისს 1881 წ. და 17 თებერვალს 1894 წ. მინისტრების კომიტეტის დადგენილებისამებრ; უნდა ეპატივოს მათ ის საიჯარო გადასახადი მიწებზე, რაც ყოფილა გადასახადის შემცირებამდე, რომელიც დაამტკიცა უმაღლესათ სახელმწიფო რჩევამ 28 ნოემბერს 1894 წ.

18. ეპატივოს გადასახლებულებს ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე ყველა შემოუტანელი სახელმწიფო გადასახადები, რომელნიც მათ ჰქონიათ უწინდელ საზოგადოებაში, საცა ისინი ყოფილან ჩარიცხული, იმ დრომდე, როცა ისინი იქიდან სხვაგან გადასულან და მიწერილან ახალ საზოგადოებაში (მუხლ. 19—24 დამატება 33 მუხლის შენიშვნისა) ცალკე დადგენილება I, და მისი განგრძობა 1891 წ.)

19. პირველ იანვრამდის 1896 წლის, რაც ხარჯი უნდა შემოვიდეს ხაზინაში ვაჭრობისა და მრეწველობიდან (კანონთ კრება, ტომი 5, წესდება პირდაპირი ხარჯის გაწერისა, გამოცემა 1893 წ. მუხ. 213 - 454) გარდა დამატებითი საპროცენტო ფულისა, უნდა განირიცხოს ის გადასახადი, რომელიც არ გადაემატება ხუთ თუმანს. ამაზე მომეტებული გადასახადი კი, რაც შედგება, ხუთი თუმნის გამორიცხვით თვითოეულზე უნდა გამოერთვას.

20. უნდა ეპატიოს ყველა შემოსატანი გადასახადი, რაც დაგროვილა 1-ლ იანვრამდე 1896 წ. სამადლოებში, მაგრამ კერძო დაწესებულებას და ხარჯის მძლეველს ხუთ თუმანზე მეტი არ ეპატივება. ხოლო საცა, ან ვისაც ხუთ თუმანზე მეტი აქვს შემოსატანი, იმათ ხუთ-ხუთ თუმანს აპატივებენ, დანარჩენს გადაახდევინებენ.

21. დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა, რაც გემით სასიარულო წყლებზე და გზა-ტკეცილებზეა შემოსატანი გადასახადი ეპატივოს თითოეულს პირს სამას მანეთამდე.

22. ჩვენის გვირგვინის კურთხევამდე 5 წლის განმავლობაში რაც შემოუტანელი პოშლინები აქვს ვისმეს მეჟევის პლანებზე და წიგნებზე, ყოველივე ეპატივოსთ.

24. ეპატივოსთ ყველა შემოუტანელი გადასახადი ზე-დამატებიანა და ჯარიმიანათ, რომელიც გადაწყვეტილი არიან ხაზინის სასარგებლოთ სასმელებზე პოლონიის სამეფოში იმ დრომდის, სანამდის იქ სასმელებზე ახალი წესდება შემოვიდოდა.

II. ეპატივოსთ კუთვნილი, მაგრამ ჩვენის გვირგვინის კურთხევამდე ჯერ კიდევ აუღებელი:

1. ყოველნაირი შტრაფები და ჯარიმები პირდაპირ გადასახადებზე (კან. კრება ტ. 5 შესდგება პირდაპირ გადასახ. გამოც. 1893 წ. მუხ. 1), გარდა მოხსენებულის მეორე პუნკტში ამა მეორე მუხლისა აგრეთვე ნასყიდობაზე პოშლინა მემკვიდრეობით გადასულ მამულებზე.

2. ეპატივოს ჯარიმა სამას მანეთამდის ვაჭრობისა და მრეწველობის წესდების დარღვევისათვის დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, აგრეთვე წესების დარღვევისათვის საორთქლე ქვაბებზე; ხოლო ჯარიმა, რომელიც აღემატება სამას მანეთს, უნდა შემოიტანონ 300 მან. გამორიცხვით.

3. უნდა ეპატივოსთ ღერბის ქაღალდის ჯარიმა იმათ, ვისაც დაურღვევია ღერბის ქაღალდის წესდება, 300 მანეთამდის თითოეულ პირს. ხოლო ვისაც ამაზე მეტი ჯარიმა მოუწევთ, იმათ კი გამოერთმევათ 300 მან. გამოკლებით. ვისაც ეს წესდება დაურღვევია ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, და აქამომდე არ გამოცხადებულა, იმათ ყველა ჯარიმა გერბის ქაღალდისა ეპატივებათ, რაც უნდა დიდი ფასისა იყოს.

4. უნდა ეპატივოს ჯარიმა სახელმწიფო ხაზინაში თავის დროზე შემწეობის შეუტანელობისათვის.

5. უნდა ეპატივოს: მადნეულობის მწარმოებელთა სახელმწიფოთ გაცემულ სამადნო მიწებისათვის. ა, დესიატინის გადასახადი და აგრეთვე რაც დამუშავებული მადნეულისათვის შეხვდება და ჯარიმა სამადნო წესდების დარღვევისათვის.

6. ჯარიმა თავის დროზე შეუტანლობისათვის დესიატინაზე გადასახადისა იმ სახაზინო ადგილებზე, საცა მადნეულობას მუშაობენ.

7. ეპატივებათ ის ნაწილი გადასახადისა, არა უმეტეს 300 მან., რომელნიც უკვე დაედვათ ხაზინაში შესატანათ 1-ლ იანვრ. 1896 წ. თევზისა და ზღვის ძაღლების მჭერლებს კასპიის ზღვაში და აღმოსავლეთის კავკასიის მდინარეებში წესდების დარღვევისათვის.

8. ეპატივებათ ჯარიმა უწესოთ დავის ატეხისათვის და უმართებულოთ აპელაციის შეტანისათვის, რაც ჯარიმაა ხაზინის სასარგებლოთ დადებული, იმის ნახევარი დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

9. თავის ნებით საზღვარ გარეთ გასვლისათვის რაც ჯარიმა დატეხიათ თავზე მთავრობის მიერ, ყოველივე ეპატივებათ გარდა იმისა, რაც ქალაქებს ეკუთვნის და რაც უნდა შეირიცხოს ინვალიდის თავნის სასარგებლოთ.

III. განირიცხოს ანგარიშისაგან გადუხდელი ხარჯები დღემდე ჩვენის გვირგვ. კურთხ., რომელნიც I და II მუხლების სტატიებში არ არიან მოხსენებულნი, აგრეთვე ეპატივოს ხარჯები დატყვევებულების სარჩენათ და წასაყვან-წამოსაყვანათ შეწერილი დამნაშავებზე, 50 მანეთამდე, თუ შემოუტანელი გადასახადი ამაზე მეტია, მაშინ გადახდეს დამნაშავეთ ეს ხარჯი ხუთი თუმნის გამორიცხვით თითოეულ პირზე.

IV. I, II, III მუხლების სტატიები არ შეეხებიან იმ ფულებს, ა, რომელნიც ხაზინას არ ეკუთვნიან და თუმცა ხაზინაში ინახებიან, მაგრამ თავისი საკუთარი დანიშნულება აქვთ.

ბ, არ შეეხებიან სახაზინო იჯარებზე გადასახადს.

გ, არ შეეხებიან პატენტის, აკციზის და დამოჟნის გადასახადებს.

დ, არ შეეხებიან იმ თავნის ფულებს, რომელნიც დანიშნულნი არიან სახელმწიფო ხაზინის დასახმარებლათ და

ე, არ შეეხებიან შემოუტანელ ჯამაგირის მესამედის გადასახადს იმ პირთა მიერ, რომელნიც იღებენ ამა ჯამაგირებს.

VI. ეპატივოსთ ყველა მოსამსახურეებს, ვინც კი პენსიას იღებს და მეტი პენსია მიულია ვიდრე ეკუთვნოდა 1896 წ. 1-ლ იანვრამდის.

VII. განირიცხოს ყოველივე ზარალი, რომელიც

ხაზინას მოსვლია ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის მითი, რომ უკანონოთ დაუნიშნავთ და მიუციათ სამსახურიდან დათხოვილ ჯარის კაცებისათვის, მათი ცოლებისათვის და ქვრივებისათვის ერთ დროებითი, ანუ მთელ სიცოცხლეში განწესებული შემწეობა.

VIII. განირიცხოს და გაუქმდეს ყველა ვალები, ვისაც კი გადასახდელათ თავზე დატეხია ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე კერძო კაცს, საზოგადოებას და დაწესებულებათა ექიმობისათვის, ავათმყოფების შენახვისათვის ყველა საავათმყოფოებში, ლაზარეთებში, ლოშპიტალებში და ავათმყოფთა თავშესაფარებელ დაწესებულებებში, აგრეთვე დაწესებულებებში იმპერატრიცის მარიამისა, რომელთაც წარუდგენდენ ხოლმე თავის საანგარიშო ხარჯთ-აღრიცხვას საოპეკუნო რჩევას.

(გაგრძელება იქნება).

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლშისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

ვუცხადებთ ყოველთა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა:

ჩვენის გვირგვინოსნების დღესასწაულობის დღესა პირველ სატახტო ქალაქის მცხოვრებნი შეუერთდნენ რა რუსეთის ქვეყნის ყოველ წარმომადგენელთა ერთად გამოგვიცხადეს სასიხარულო ჩვენი გულისათვის დამტკიცებანი ხალხის ცხოველი სიყვარული და უზომო დანდობა თავის ხელმწიფისადმი. ეს ხალხის გრძნობა ძველიდგანვე სულის განმამტკიცებელი თვითმპყრობელ ჩვენ წინაპართა, როგორც სიხარულის, ისე მწუხარების დროთა, განსაკუთრებული ძალით გამოცხადდა ამ სახალხო დღესასწაულზე. და იქმნა **ჩვენთვის** საგრძნობელად სანუგეშო, დღესასწაულობის დროს **ჩვენთვის** შემაწუხებელ უბედურობის შემთხვევისა გამო, რომელიც შეემთხვა მრავალთა სადღესასწაულოდ დამსწრეთა, ხოლო ყოველ რუსეთის მცხოვრებთა დაუმტკიცეს კავშირის დაურღვევლობა შემაერთებელი **ჩვენთან** საყვარელი და მორწმუნე ხალხისა **ჩვენისა**.

უზენაესმა მადლმა, რომელმაც წმიდა მირონცხებით დაბეჭდა ჩვენი მოწოდება და მოგვანიჭოს **ჩვენ**, ლოცვითა ყოველთა მორწმუნე და კეთილმსახურთა რუსეთის ძეთა, ძალა და სიბრძნე შესასრულებლად **ჩვენი** სამსახურისა საყვარალის მამულისა საკეთილოდ.

მიცემულია პირველ სატახტო ქალაქ მოსკოვსა, 26 დღესა მისსა წლიდგან შობიდან ქრისტესსა ათას რვაას ოთხმოცდა თექვსმეტსა, **ჩვენის** მეფობიდან მეორესა.

ნამდვილს **მ**ისის **ი**მპერატორებითის **უ**დიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზ.“.

მწყემსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10 – 11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 11 1883—1896 15 ივნისი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	3 მან	12 თვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квиталы, въ редакцію „Мцкеми“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავ. ლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს-

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

შეცდომის გასწორება:

ამ №-ში მე 2 და 3 გვერდის ალაგას შეცდომით არის დაბეჭდილი მე 14 და 15 გვერდი.

სამღვდელოების კრება ქალაქს ქუთაისში 28, 29 და 30 მაისს.

როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება დანიშნული იყო ქ. ქუთაისში ამა წლის მაისის 28, 29 და 30 რიცხვებში. კრება იყო დანიშნული ქუთაისის სემინარიის სავაჟო და საქალებო სასწავლებლების საქმეების, და სანთლის ქარხნის და მისი მმართვა-გამგეობის შესახებ. ამ კრებაზედვე, სხვათა შორის, უნდა გარდაწყვეტილიყო საეკლესიო ნივთების საწყობის საქმეც

დანიშნულ დღეს, შუადღისას იმდენი დეპუტატები შეიკრიბნენ, რომ შეიძლებოდა კრების გახსნა. კრებამ თავსმჯდომარის კანდიდატებათ აღირჩია დეპუტატები მღვდ. ერმალოზ ვეფხვაძე, ივლიანე აბესაძე და იუსტინე ტაბიძე. ამ კანდიდატებში ხმის უმეტესობით აღრჩეულ იქმნა დეპ. ბლაღ. მღ. ერმალოზ ვეფხვაძე. საქმის მწარმოებლად ერთხმად

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ამოირჩიეს მღ. იუსტინე ტაბიძე. შედგენილი სიგელი წარუდგინეს დასამტკიცებლად ყოვლად სამღვდელო ბესარიონს. ამ სიგელის დამტკიცების შემდეგ კრებაზე შემობრძანდა ყ-დ სამღვდელო ბესარიონი, რომელმაც განუმარტა დეპუტატებს საბაასო საგნები, მისცა დარიგება ერთსულობით, დ ერთგულობით, როგორც სამღვდელოების კრებას შეშვენის, განეხილათ და განესაჯათ მიცემული კითხვები, აკურთხა კრება და შინ წაბრძანდა.

ყოვლად სამღვდელოს წაბრძანების შემდეგ დეპუტატებმა ჩამოთვალეს საბაასო კითხვები კითხვები იყო შემდეგი: 1) ექვსი ათასი მანეთის შეტანა საეკკლესიო ხაზინაში იმ ექვსი ათასი მანეთის შესავსებლად, რომელიც უწ. სინოდს გარდაუცია ქუთაისის სემენარიისათვის, 2) სანთლის ქარხნის წარმოების და მართვა-გამგეობის საქმე, 3) ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 4) ექვსასი მანეთის ფულის გარდახდა, რომელსაც ქუთაისის სემენარიის რექტორი ითხოვდა სემენარიის ზედამხედვლის და სხვა წვრილმან ხარჯთათვის.

თავმჯდომარე მ. ე. ვეფხვაძე. სინოდის გარდაწყვეტილებით 6000 მანეთამდე გვეთხოვება საეკკლესიო ხაზინის შესავსებლად, რომლიდანაც სემენარიის სასარგებლოდ გარდაუცია უწმ. სინოდს ეს ფული. რას იტყვით, მამანო დეპუტატნო, რომელი წყაროდან უნდა შევიტანოთ ეს ფულები?

დეპ. სიმონ მჭედლიძე. სემენარიისათვის რაც შეგვეძლო ჩვენ შევიტანეთ, და მეტის შეტანა, ვგონებ, ჩვენ აღარ შეგვიძლია. ეხლა თუ კიდევ გვეთხოვება, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი წინანდელი ჟურნალები კარგად არ იყო შედგენილი. მე როგორც მახსოვს, იმ ჟურნალებში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ ამის მეტის გარდახდა არ შეგვიძლია по крайней бѣдности-ო (უკიდურესი სიღარიბისა გამო). არ კმარა, მარტო რომ ვთქვათ, არ შეგვიძლია по крайней бѣдности. ჩვენ უნდა დაწვლილებით განვუმარტოთ მართლაც როგორი უკიდურესი ღარიბნი ვართ და მაშინ აღარ დაგვადებენ გარდასახადს, თორემ არა გამოვიდა რა მარტო ამ შენი по крайней бѣдности-დგან და რას ჩავაცივდით ამ სიტყვას по крайней бѣдности-ს?

დეპ. დავით ღამბაშიძე. მამა დეპუტატს სიმონ მჭედლიძეს, სამწუხაროდ, გუშინდელი ამბავიც არ ახსოვს, თორემ საიდან მოიგონებს რა ითქვა და რა დაიწერა წინა კრებებზე. მე ძლიერ კარგად მახსოვს, რაც დაიწერა ამ საგნის შესახებ წინა კრებაზე სამღვდ. დეპუტატებისაგან შედგენილ ჟურნალებში. იქ დაწვლილებით იყო მოყვანილი ჩვენი სამღვდელოების მდგომარეობა, გადასახადები და ვრცელი ჟურნალიც იყო შედგენილი. დარწმუნებული ვარ, ყველა დეპუტატებს ახსოვს ეს, გარდა სიმონ მჭედლიძისა. რომ დააჯეროთ, მამაო თავსმჯდომარე, მჭედლიძე, მოითხოვეთ წინანდელი ჟურნალი და დაუმტკიცეთ მას, რომ მისი по крайней бѣдности მისგანვეა გამოგონილი სულ ტყუილად, ალბად სიტყვის ბარაქისათვის!..

ჩემის აზრით ამ კრებას მეტის გამოთქმა და გამოგონება არ შეუძლია; ისევ ის უნდა გაიმეოროთ, რაც იყო წინეთ თქმული და დაწერილი ამ საგნის შესახებ.

მოიტანეს წინად შედგენილი ჟურნალი. აღმოჩნდა, რომ, როცა სემენარიის დაარსების განჩინება გამოუგზავნია უწმ. სინოდს, მაშინ დაკითხვია იმერეთის და გურია-სამეგრელოის სამღვდელოებას, რას შეეწევა ეს სამღვდელოება სემენარიის შესანახავად და შენობის ასაგებად ერთ დროებითად და სამუდამოდ, ან რა წყაროების მითითება შეუძლია მერმისისათვისო. სამღვდელოების კრებას აუწერია თავისი ღარიბი მდგომარეობა საზოგადოდ და ის გარდასახადებიც, რასაც დღეს იხდის იგი სხვა და სხვა სასწავლებლის აღსაშენებლად და შესანახავად; ერთ დროებითად შემწეობა აღმოუჩენია 40,010 მანეთამდე და სამუდამო წყაროდ აუჩენია საეკკლესიო ხაზინის ფულები, რომელიც მიდიოდა თბილისის სემინარიაში და რომელიც აღიოდა 14,000 მანეთამდე და ამას გარდა სანთლის ქარხნის შემოსავალიც კრებამ რამდენიმე მოსაზრებისა და მსჯელობის შემდეგ გარდასწყვიტა: მოხსენდეს უწმ სინოდს ჩვენი ღარიბი მდგომარეობა და ჩვენი ეკკლესიებისაც განმეორებით, და ისიც, რომ სამღვდელოებას არავითარი შემწეობის აღმოჩენა აღარ შეუძლია სემენარიისათვის, თუ უმოწყალესად დაპირებული ჯამაგირები არ დაენიშნა.

28 მაისს საღამოის სხდომაზე კრებამ განიხილა ქუთაისის ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვით ითხოვებოდა 14,000 მანეთზე მეტი სამღვდე-

ლოებისაგან; სამღვდელოება კი ყოველს წელს კრებავს და ადგენს ცამეტი ათას ორას 90 მანეთს.

სხვა და სხვა უსარგებლო ბაასის შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა: იქნეს დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა წარსული წლის მსგავსად და მომეტებულ ხარჯზე უარი განაცხადა. კრება მეორე დღის ცხრა საათზე გადიდვა.

29 მაისს დილის ათი საათის ნახევარზე გაიხსნა კრება. პირველი კითხვა, რომლის განხილვას შეუდგა კრება, იყო წმინდა სანთლის ქარხნის მმართვა-გამგეობის საქმე. წმინდა სანთლის ქარხნის გამგე თავმჯდომარემ დეკ. დ. ღამბაშიძემ მოახსენა კრებას, თუ რა მდგომარეობაში იყო წმინდა სანთლის ქარხნის მმართვა-გამგეობის საქმე 1895 წ. და რა შემოსავალი ჰქონდა აქედგან სამღვდელოებას. ბოლოს მოახსენა კრებას თუ რა მდგომარეობაშია სანთლის წარმოების საქმე 1895 წ. 21 დეკემბრიდან 26 მაისამდე ამა მდგომარე წლისა, და რა შემოსავალი აქვს. კომიტეტმა წარუდგინა კრებას ყოველ თვიური და ნახევარი წლის ანგარიშები. მოხსენდა კრებას აგრეთვე, რომ წმინდა სანთლის ვაჭრობისაგან შესული ფული ორი ათას მანეთამდე სესხად არის გაცემული. რაიცა შეეხება რასკინისაგან მოპარულ ფულებს, ამის შესახებ საქმის ძიება გათავებული არის, მაგრამ საქმე უმოძრავოთა სძევსო. სანთლის საქმემ გრძელი ბაასი გამოიწვია კრებაზე.

კომიტეტის ანგარიშიდან სჩანდა შემდეგი: ძველი ქარხნის მმრთველისაგან კომიტეტს მიუღია 21 დეკემბერს ფულად 220 მ., ცვილი სანთელი 57 ფ., ნამწვი სამი ფუთი და ნახევარი და ჩამოსხმული სანთელი 157 ფ., პატრუქი სამი ფუთი და ნახევარი, სულ, რომ ფულზე ვიანგარიშოთ 6289 მანეთისა. ძველი ქარხნის გამგებელს არც ერთი გროში 1895 წელში შესატანი ფული არ შეუტანია. ამ დარჩენილ საფასესთან ვალი გადუცია ახალ კომიტეტისათვის 1895-სა 4800 მ. 6289—4800=1489. ამ ფულებიდან 1300 მ. ცვილის ფასი და სანთლის დასამზადებელი მისცა ძველი წლისა ახალმა კომიტეტმა. 1895 წლის მთელ მოგებას შეადგენს 4989 მ.

ახალ კომიტეტს მიუყვია ხელი სანთლის წარმოებისათვის და 26 მაისს ყოველი ხარჯის და გასავლის გამორიცხვით დაშთენია 3100 მ. და ცვილი და ჩამოქნილი სანთელი 1860 მან. წმინდა მოგება ამ ექვს თვეში დარჩენილა 3500 მანეთამდე. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ამ ექვს თვეში საწყობში კანონით აღკრძალული ლერწმით გაყიდვა კელაპტრებისა და წვრილი სანთლისა მოსპობილი იყო; აქედან კი შემოვიდოდა არა ნაკლებ ათასი მან. მაშასადამე წმინდა მოგება ექვს თვეში აღემატებოდა 4000 მანეთს.

დეკ. დ. ღამბაშიძე. მამანო დეპუტატნო! წმინდა სანთლის საქმე ისეთი რთული და საპატივო კითხვა არის, რომ ყოველმა თქვენგანმა ამ კითხვის განხილვის დროს უნდა დაივიწყოს ნათესაობა, მეგობრობა და პურ-მარილი და ყველანი უნდა აღიჭურვონ მხოლოდ პატიოსნური და მართალი გრძნობით, ყველანი უნდა ვცდილობდეთ, რომ როგორიმე გზით საქმეს დავეხმაროთ და მოვაწყოთ იგი ჩვენი ღარიბი ეკკლესიების სასარგებლოდ. ნუ დაივიწყებთ, რომ სანთლის ქარხნის რიგიანად დაყენება დიდი სასარგებლო იქნება ჩვენი ეკკლესიებისა და სასულიერო სასწავლებლებისათვის. ჩვენ დაგპირდით წესდების წარმოდგენას. წესდება მზათ გვაქს და როგორ ინებებთ, ეხლავე წაიკითხავთ, თუ შემდეგ?

კრებამ მოითხოვა, რომ ხსენებული წესდება მაშინვე წაკითხულიყო. აი ეს წესდებაც:

იმერეთის საეპარქიო სანთლის ქარხნის წესდების პროექტი,

შედგენილი დეკ. დ. ღამბაშამის მიერ.

I. საზოგადო კანონები.

§ 1. იმერეთის ეპარქიის წმინდა სანთლის ქარხანას, რომელიც დაარსებულია განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის თაოსნობით, აქვს მიზნად: ა) მიაწოდოს იმერეთის ეპარქიის ეკკლესიებს დ აგრეთვე კერძო პირთაც წმინდა თაფლის სანთელი, და ამით დააკმაყოფილოს სარწმუნოებრივი მოთხოვნილება მართლ-მადიდებელთა: ბ) გაუადვილოს ეკკლესიებს და სამღვდელოებას ეპარქიალური სასულიერო სასწავლებლების შენახვა და გ) ხელი შეუწყოს თვით ეკკლესიების კეთილმდგომარეობას.

§ 2. საეკკლესიო სანთლის ქარხანა არის საზოგადო ეპარქიალური დაწესებულება, და, როგორც საეკკლესიო, არ ექვემდებარება სავაჭრო გარდასახადს (ფინანს. მინ. ცირკ. სახაზ. პალატ. 1877 წ. 18 მარ-

ტის № 363; უწ. სინ. უქაზ. 1886 წ. 18 მარტის № 1816, უწმ. სინ. განჩ. 93 წლ. 18 თებერ. 9 მარტ.)

§ 3. როგორც საერთო ეპარქიალურ დაწესებულებას, ქარხანას აქვს განსაკუთრებითი უფლება იმერეთის ეპარქიის ყველა მონასტრებს, სობოროებს და სამრევლო ეკკლესიებს მიაწოდოს სანთელი, და ამიტომაც ყოველი ეკკლესია ვალდებულია მხოლოდ საეპარქიო ქარხნიდგან სანთლის ყიდვას. (საეკკლ. მნათ. წესდ. მუხ. 23).

§ 4. თავის საქმის წარმოებისათვის იმერეთის საეპარქიო სანთლის ქარხანას აქვს უმთავრესი საწყობი და დუქანი ქ. ქუთაისს. ეპარქიის სამღვდელოების სურვილისამებრ და იმერეთის ეპისკოპოსის ნებართვით შეიძლება სანთლის საწყობის გამართვა სამაზრო ქალაქებში და დაბებში. ეს საწყობები და დუქნები, როგორც საეკკლესიო დაწესებულების განყოფილებანი სავაჭრო გარდასახადისაგან თავისუფალნი არიან (§ 2).

§ 5. ქარხანა ამზადებს სხვა და სხვანაირს სანთელს წმინდა ყვითელი და გათეთრებული ცვილისას, მოვარაყებულს და მოუვარაყებელსაც ლ სინოდის დადგენილების შესაბამი მოყვანილობისას (საეკკლ. უწყ. 1892 წ. № 52.)

§ 6. ქარხანა იძლევა სანთელს ცალკე კონებად შეკრულს შემდეგის ზედწარწერით: „საეკკლესიო წმინდა სანთელი იმერეთის საეპარქიო სანთლის ქარხნისა.“

§ 7. სანთელს გარდა ქარხანაში და მის საწყობებში იყიდება საკმეველი და ნამდვილი (წმინდა) კანდლის ზეთი.

§ 8. ქარხნის ყოველი მოქმედება და განკარგულება საეკკლესიო სანთლის საქმის შესახებ ექვემდებარება პირ და პირ ეპარქიის მღვდელ-მთავარს საეკკლესიო მეურნეობის საზოგადო წესების, და მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებათა თანახმად.

§ 9. ქარხნის სამმართველოს აქვს საკუთარი ბეჭედი ზეწარწერით: „იმერეთის საეპარქიო სანთლის ქარხანა“.

II საეპარქიო სანთლის ქარხანასთან დამოკიდებულება საეპარქიო და საბლაღოჩინო ოლქის კრებათა, ბლაღოჩინთა, ეკკლესიის კრებულთა და მნათეთა.

§ 10. საეპარქიო კრება: 1) ირჩევს კომიტეტს სამ პირთაგან შემდგარს 2) იხილავს კომიტეტის ანგარიშებს სანთლის ქარხნის შესახებ, 3) ათვალიერებიებს თავის მიერ არჩეულ პირების საშუალებით და ამოწმებინებს კასსას და ქარხნის ქონებას, 4) ან თვითონ აღძრავს ხოლმე კითხვას ან იხილავს კომიტეტის მიერ და საბლაღოჩინო კრებების მიერ წარმოდგენილ ღონისძიებას და ზომებს ქარხნის წარმოების დამაწინაურებელს და გასაუმჯობესებელს.

§ 11. მონასტრები და ეკკლესიის მნათენი, მნათეთათვის უმაღლესად დამტკიცებული წესდების ძალით, მოვალენი არიან სანთელი იყიდონ და ნამწვი სანთელი გაცვალონ ანუ გაანაღდონ მხოლოდ საეპარქიო ქარხანაში და მის საწყობებსა და დუქნებში.

§ 12. ბლაღოჩინები, კრებულნი და ეკკლესიის მნათენი უნდა აჩვევდენ მრევლს სანთლის ხმარებას მხოლოდ საეპარქიო სანთლის ქარხნიდგან, ნამდვილი თაფლის სანთლისას, და ამასთან ფიცხლად უნდა ადევნონ თვალყური, რომ გარეშე ვაჭრებმა ფარულად არ ივაჭრონ ყალბი სანთელით. ბოროტ მოქმედების აღმოჩენის დროს, იგინი მოვალენი არიან სისხლის სამართლით საქმის ძიება აღძრან სახელმწიფო რჩევის მიერ უმაღლესად დამტკიცებულ მოსაზრების საფუძვლით 1890 წ. 14 მაის. (უწ. სინ. დადგენილება 21 დეკ. 15 იანვ. 1892-93 წ. მთავრ. კანონდ. და განკ. კრებ. 1890 წ. № 71, მ. 662).

III ქარხნის მართვა-გამგეობა.

ა. საზოგადო დადგენილებანი.

§ 13. იმერეთის საეპარქიო წმ. სანთლის ქარხანას და მის განყოფილებას: საწყობებს და დუქნებს მართავს და განაგებს კომიტეტი, სამღვდელოების საეპარქიო კრების მიერ არჩეული.

§ 14. კომიტეტს შეადგენს სამი პირი: თავმჯდომარე და ორი წევრი, რომელნიც ირჩევიან საეპარქიო კრების მიერ ოთხი წლის ვადით და მტკიცდებიან მღვდელ-მთავრისაგან.

§ 15. კომიტეტი ერთ-ერთ თავის წევრს ანდობს ხაზინადრობას, მეორეს საქმის მწარმოებლობას.

სხოლიო. უკეთუ რომელიმე წევრი გამოაკლდა რაიმე მიზეზით კომიტეტის, საქმეს განაგებენ დანარ-

ჩენი წევრები შემდეგ საეპარქიო სხდომამდე, როდესაც ირჩევა გასული წევრის მოადგილე.

§ 16. ქარხნის მართვა გამგეობისათვის თავის განკარგულებათა აღსასრულებლად კომიტეტს ჰყავს ქარხნის ზედამხედველი და მყიდავი პირები სანთლის საწყობში და დუქნებში.

§ 17. ქარხნის ზედამხედველი ირჩევა კომიტეტის მიერ და მტკიცდება თავის სამსახურზედ მღვდელმთავრისაგან.

§ 18. საწყობებში მყიდავს ქირაობს და ითხოვს კომიტეტი თავის შეხედულებისამებრ.

§ 19. სამაზრო დუქნებში ადგილობრივ ბლაღოჩინთ შეუძლიათ ზედამხედველობა, მათ მიერ ირჩევა ამ დუქნების მყიდავებიც.

§ 20. ჯამაგირს კომიტეტის წევრებს და ზედამხედველს და საწყობებისა და დუქნის მყიდავთ უნიშნავს ეპარქიალური კრება.

§ 21. ყოვლად სამღვდელოს შეხედულებისამებრ საპროკენტო სასყიდელი ენიშნება იმ ბლაღოჩინთაც, რომელნიც თვისდამი რწმუნებულ ეკკლესიათათვის კისრულობენ სანთლის მალე და დაუგვიანებლად მიწოდებას.

ბ. კერძო დადგენილებანი.

კომიტეტის მოვალეობა.

§ 22. კომიტეტს აქვს ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი სხდომები. კომიტეტის სხდომების ჟურნალები წარედგინებიან ადგილობით მღვდელ-მთავარს კეთილ განსახილველად და დასამტკიცებლად.

§ 23. კომიტეტი არის ქარხნის და საწყობის ყველა ქონების პასუხის მგებელი მთავრობისა და სამღვდელოების წინაშე, აგრეთვე პასუხის მგებელია ქარხნის ზედამხედველის და მყიდავის მოქმედებისა, და ამიტომ სიბრთხილისათვის შეუძლია მას ზედამხედველისაგან და მყიდავისაგან ამანათის (ზალოგის) მოთხოვნა, თუ პირადათ არ იცნობს მათ და არ ენდობა.

§ 24. კომიტეტი აწარმოებს შემდეგ წიგნებს:

1) ქარხნის ქონების ნუსხისას;

2) ფულის შესავალ-გასავლისას;

3) შემოსული და გასული სანთლის, ნამწვის, პატრუქის, ზეთის, სახვევი ქაღალდის და გასაგზავნი მასალის ჩასაწერს;

3) ჩამოსხმული სანთლის შესავალ-გასავლის წიგნს სანთლის რიგის და ფასის ჩვენებით.

ეს წიგნები ყოველ წელს იცვლებიან.

ყოველი საქმის წარმოება სრულდება აოსებულის კანონ-დებულების თანახმად და ყოველგვარი იმ ღონისძიების დაცვით, რაც კი ხელს შეუწყობს სანთლის წარმოების გაუმჯობესებას და გავრცელებას.

§ 25. კომიტეტი ადგენს თვიურ და წლიურ ანგარიშებს (ვედომოსტებს); აგრეთვე აცნობებს სამღვდელობას სანთლის ქარხნის და სანთლის წარმოების დაწვრილებით ანგარიშს ან ცალკე და ან ადგილობით გამოცემებში აღბეჭდვით.

§ 26. კომიტეტი ბლაღოჩინების ცნობების მიხედვით და საკუთირის მოსაზრებისამებრ საზღვრავს წლიურს წარმოებას ქარხანაში გასაკეთებელ სანთლისას; აგრეთვე ნისიათ აძლევს სანთელს ზოგიერთ ეკკლესიებს თავისი შეხედულებისამებრ ბლაღოჩინების, კრებულის და ეკკლესიის მნათეთა თავდებობით.

§ 27. საუკეთესო მეთვალყურეობისათვის კომიტეტი ხშირად ათვალიერებს სანთლის ქარხანას ⁄ დუქანს. თავის შეხედულებისამებრ იგი ნიშნავს და ითხოვს ქარხნის მოსამსახურე პირთ, რომელთაც შენიშნავს ბოროტ საქციელს სანთლის ვაჭრობის საქმეში.

სხოლიო. წმინდა სანთლის (ცვილის) და ნამწვის ღირსების შესატყობად ყოველთვის ხდება ჯეროვანი ქიმიური გამოკვლევა, ანუ თვით კომიტეტის მიერ გამოიკვლევა სხვა და სხვა საცადი საშუალებით.

§ 28. კომიტეტი თავისუფალ თანხას ინახავს სახელმწიფო შემნახველ კასსაში.

§ 29. ქარხნის ზედამხედველს და საწყობების და დუქნების მყიდავთ კომიტეტი აძლევს ცალკე დავთრებს თავმჯდომარის მიერ ხელ მოწერილს.

კომიტეტის წევრთა კერძო ვალდებულება.

ა. თავმჯდომარისა.

§ 30. თავმჯდომარეს, როგორც უმთავრეს ხელმძღვანელს ქარხნის ყოველგვარი მოქმედებისას, ეკისრება უპირატესობითი მეთვალყურეობა მისი საქმეების მწყობრი და წესიერი მიმდინარეობისათვის.

§ 31. იგი ნიშნავს კომიტეტის სხდომებს და ხელმძღვანელობს მათ, წინადაუდებს განსახილველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსასჯელად კითხვებს ქარხნის მართვის შესახებ, — აგრეთვე კომიტეტის სახელზედ გამოგზავნილ სხვა და სხვა ქაღალდებსაც ის იღებს.

§ 32. ხელს აწერს ყოველ გვარ კომიტეტისაგან გასულ ქაღალდებს, — თვალ ყურს ადევნებს სისწორეს და დაუყონებლივ ჩაწერას საანგარიშო წიგნებისას, ამოწმებს და ბეჭდავს ქარხნის ბეჭდით წიგნებს ქარხნის საწყობის და დუქნის ზედამხედველისათვის.

§ 32. იგი მიართმევს მის ყოვლად უსამღვდელოესობას ყოველგვარ კომიტეტის ჟურნალურ დადგენილების დასამტკიცებლად.

ბ. ხაზინადრის.

§ 34. ხაზინადარი განაგებს ხაზინას: ა) იგი ინახავს კასსის გასაღებს; ბ) იგი იღებს ფულს ბანკში შესანახავად, და მასვე გამოაქვს ფული ბანკიდან კომიტეტის მინდობილობით; გ) იგი იღებს კომიტეტიდან მოსამსახურეთა მისაცემ საჯამაგირო ფულს, წინდაწინ მისაცემ საწვრილმანო ხარჯისათვის ზედამხედველზე გადასაცემ ფულს, მოიჯარადრებზე და მოვაჭრეებზე და სხ. მისაცემ ფულსაც, იღებს და აგზავნის ფულის კორესპოდენციას.

§ 35. ხაზინადარი აწარმოებს წიგნებს: ფულის შესავალ-გასავლისას და ქონების ნუსხისას.

§ 36. ხაზინადრის მოვალეობას შეადგენს: ა) შემოსული, გასული და დარჩენილი ფულის ყოველთვიური ანგარიშის (ვედომოსტის) შედგენა; ბ) ქარხნის ფულის წარმოების წლიური ანგარიში; გ) გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის და ყოველგვარი ფულის, წიგნებისა და ანგარიშების შემოწმება.

გ. საქმის მწარმოებლის:

§ 37. საქმის მწარმოებელი განაგებს კანცელარიას და არქივს ქარხნისას; მის მოვალეობას შეადგენს: ა) ჟურნალების შედგენა; ბ) ქარხნის საქმეების შესახებ მიწერ-მოწერა; გ) შემოსული ქაღალდების ჟურნალში ჩაწერა; დ) ქარხნის მდგომარეობის წლიური ანგარიშის შედგენა; ე) სანთლის შემოსავლის, გასავლის და დანაშთის თვიური და წლიური ანგარიშები; ვ) კერძო ანგარიშების და სანთლის შემოსავალ-გასავლის წიგნის წარმოება და საქმეების ნუსხის შედგენა.

§ 38. ქარხნის ბეჭედი ინახება საქმის მწარმოებელთან.

ქარხნის ზედამხედველის მოვალეობა:

§ 39. დაახლოებული მეთვალყურე და გამგე ქარხნისა არის ზედამხედველი, რომელიც არის აღმასრულებელი პირი კომიტეტის და პასუხისმგებელი მის წინაშე.

§ 40. ქარხნის გამგეობის საქმეში ზედამხედველი ხელმძღვანელობს როგორც ამ წესდების კანონით, რომელიც შეეხება ქარხნის ზედამხედველის მოვალეობას, აგრეთვე კომიტეტის ყოველგვარი მითითებით, და ასრულებს ყოველგვარ მის მონდობილობას; საეჭვო ანუ წესდებაში დაუსახელებელ შემთხვევაში კი მიმართავს განსამარტებლად კომიტეტს.

§ 41. ზედამხედველი მუდმივ მეთვალყურეობს ქარხნის მთელ შენობას, სახელოსნოს, მუშებს და მათ მუშაობას, მოსამსახურეთ, მაშინების, ხელსამწყობების და წარმოების სხვა ხელსაწყობების რიგიანობას, — რომ არავითარი შეფერხება მუშაობას არ ექნეს — ქარხნის მთელი ქონების უვნებლობას და მოუკლებლობას.

§ 42. ზედამხედველი ადევნებს თვალყურს, რომ სანთელი წმინდად და კარგი ღირსების კეთდებოდეს, რომ არავითარი განარევი სანთელში არ იყოს, და მასალაც მოჭინედ იხარჯებოდეს.

§ 43. კომიტეტის მიერ გასაყიდლად მიღებულ სანთელს, ცვილს და დანარჩენ სასანთლო მასალას და აგრეთვე ნამწვ სანთელს ზედამხედველი ინახავს ქარხნის სარდაფში (კლადოვოებში). იგი არის პირადად პასუხისმგებელი მათი შენახვის და მოუკლებლობის; იგივე ინახავს კვირის განმავლობაში ჩამოსხმულ სანთელსაც.

§ 44. ზედამხედველი დაწესებულ საათებში აღებს და კეტავს ქარხანას; მის ნებადაურთველად არც ერთი მუშა არ გამოდის ქარხნიდან და არავინ არ შედის ქარხანაში. ეჭვის შეტანის დროს ზედამხედველს შეუძლია გამომავალ მუშების დაჩხრეკა.

† არქიმანდრიტი ნიკოლოზი.

ხუთ ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, როგორც თბილისის გაზეთები გვატყობინებენ, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში მომხდარა საზიზღარი მკვლელობა. მოუკლავსთ ამ კანტორის წევრი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, წინამძღვარი ქვაბთა-ხევის მონასტრისა. მკვლელი არის ვიღაც კალმახელიძე, 40 წლისა, მედავითნე გორის მაზრის სოფელ ბერშოეთის ეკლესიისა. არქიმანდრიტი ნიკოლოზი 1885 წლამდე ბორჯომის ეკლესიის წინამძღვრად და ბლაღოჩინად იყო. მამა ნიკოლოზის ბლაღოჩინად მყოფობის დროს ახალდაბის სამრევლოში მღვდლად ყოფილა ხსენებული კალმახელიძე, რომელიც შემდეგ სხვა-და-სხვა დამნაშაობისათვის სინოდს მღვდელობისაგან დაუთხოვნია. მღვდლის კალმახელიძის საქმის გამოძიება მოუხდენია მთავრობის მინდობით მამა ნიკოლოზს. როგორც გაზეთები გვაცნობებენ, მღვდლობისაგან დათხოვნილი კალმახელიძე მედავითნეთ ყოფილა განწესებული, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. როგორ შეიძლებოდა, რომ მღვდელობიდგან დათხოვნილი კაცი მედავითნეთ გაემწესებიათ? კალმახელიძე თურმე დიდი ხნიდგან მოკვლას ექადებოდა მამა ნიკოლოზს და ეს ამბავი რამდენჯერმე კიდეც აცნობა თურმე მამა ნიკოლოზს მისმა დედამ. კალმახელიძე ფულებს სთხოვდა მამა ნიკოლოზსო, მაგრამ კარგად გარკვეული არ არის, თუ რა ფულებს თხოვდა მკვლელი მამა ნიკოლოზს. 5 დღის წინეთ კალმახელიძე ჩამოსულა თბილისში, სინოდალურ კანტორაში შეუტანია თხოვნა შემწეობის აღმოჩენის თაობაზე. 5 ივნისს მისულა კანტორაში და კიბეზე მჯდარა. მამა ნიკოლოზს ელოდებოდა. მამა ნიკოლოზი კი კრებაზე ეოფილა. კრების გათავების შემდეგ მამა ნიკოლოზი გამოსულა ოთახიდან და თავის ოთახისკენ წასულა. გზაზე მასთან მისულა კალმახელიძე და ფულები მოუთხოვნია. როცა მამა ნიკოლოზს ფულის მიცემის შესახებ უარი უთქვამს, კალმახელიძე დანით მივარდნილა და ორი ჭრილობა მიუცია, რომელ ჭრილობათაგან მამა ნიკოლოზი ნახევარი საათის შემდეგ კიდეც გარდაცვლილა. კალმახელიძე იქვე გაჩერებულა და უთქვამს: «მე მოვკალიო». იმედია, გამოძიება აღმოაჩენს მკვლელობის ნამდვილ მიზეზს. გასაკვირველია, მხოლოდ მ. ნიკოლოზს ატყობინებდენ, კალმახელიძე მოკვლას გექადებაო და რატომ არ ერიდებოდა მკვლელს. ჩვენმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამ კარგად უწყიან მამა არქიმანდრიტის ნიკოლოზის ვინაობა, სამსახური და ნიჭი, გაზეთები გვატყობინებენ, რომ არქიმ. ნიკოლოზი ითვლებოდა ერთერთ კანდიდატად იმერეთის საეპისკოპოსო კათედრაზეო. თუმცა ამას დღემდის არავინ არ აცხადებდა, მაგრამ მამა ნიკოლოზის დამსახურება და ის ეურადღება, რომელიც განსვენებულმა დაიმსახურა უფროსებისაგან, დიდს იმედებს იძლეოდა, რომ განსვენებულს არ აცდებოდა ეპისკოპოსობა. განსვენებული დიდის ამბით დაუმარხავთ დიდუბის ტაძარში. ბრავალი ხალხი დასწრებია დასაფლავებას და საქართველოს ექსარხოსს, მთავარ-ეპისკოპოსს ვლადიმირს გრძნობიერი სიტყვა წარმოუთქვამს.

§ 45. ყოველგვარი დაუდევნელობისათვის, რასაც კი მოსდევს ქარხნის ზიანი, ზედამხედველი პირადად და თავისი ამანათით პასუხის მგებელია; ხოლო თუ დაუმტკიცდება მას რაიმე ბოროტი განზრახვა, მაშინ პასუხისმგებელია კანონისამებრ.

§ 46. ყოველ თვის დამდეგს ზედამხედველი გარდასცემს კომიტეტს თვიურ ანგარიშს შემოსული, გასული და დანაშთი სანთლისა და ნამწვისას.

§ 47. ზედამხედველი თვალყურს ადევნებს, რომ საწყობში და დუქნებში სანთელი საკმაოდ მოიძევებოდეს, რისთვისაც წინდაწინვე უდგენს კომიტეტს ნუსხას საჭირო სანთლის ხარისხის და წონის დაწვრილებითი აღნიშვნით.

დ ა ს კ ვ ნ ა.

იმერეთის საეპარქიო საეკკლესიო სანთლის ქარხნის ზემოხსენებული წესდება დროსა და გარემოების მიხედვით, აგრეთვე გამოცდილებისადაგვარად შეიძლება შეიცვალოს ანუ შეივსოს ქარხნის კომიტეტის წარდგენილებისამებრ, ანუ საეპარქიო და საბლაღოჩინო კრებების განცხადებისამებრ, რასაკვირველია, ყოვლად უსამღვდელოესის დამტკიცებით.

კორრესპონდენცია

სამეგრელოდან.

ამ მიმდინარე წელში სამეგრელოში ძლიერ დიდი სიძვირეა ფულისა. ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ სიმინდის ფასმა ძლიერ დაიწია და არც წინანდელისთანა მოსავალი უოფილა. სხვაგან ხალხი სხვა და სხვა მრეწველობას მისდევს. სამეგრელო მარტო სიმინდის მოყვანას შეჩერებია და, რადგან ამის მოსავალი მაც იკლო, ამიტომ გლეხობას მოაკლდა ფულის შოვნის საშუალება. საწყალი გლეხები ხშირად ეკითხებიან ერთმანერთს: „აგერ ფოშტის ფულის გადახდის დღე კარზე მოგვადგა და რა საშუალებით გადავიხადოთ ეს [illegible]ვალი». აბრეშუმის მოყვანასაც აქა-იქ მიჰყვეს ხელი. მაგრამ ყველაზე უფრო დიდ სარგებლობას უნდა ველოდეთ მეფუტკრეობისაგან, რომელსაც ავრცელებს სამეგრელოის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. სპირიდონ ანდრ. მატარაძე. ბ. მატარაძე მუქთად ასწავლის მეფუტკრეობას მსურველთ და განსაკუთრებით სამღვდელოებას და სამრევლო სკოლის მასწავლებლებს. წარსულ 1894 და 1895 წლებში სამრევლო სკოლების დათვალიერების დროს მან მთებში მცხოვრებ ხალხს ბევრგან უჩვენა ახალ ბუკში ფუტკრის გადმოყვანის ნიმუში, ბევრს აღუძრა სურვილი ჩარჩოებიანი ბუკის შეძენისა. სამრევლო სკოლების სამასწავლებლო რჩევას ამ მაისის თთვეში მოწოდებული ჰყავდა სამრევლო სკოლების მასწავლებლები დ. ახალ სენაკში მეფუტკრეობის შესასწავლად. სუხუმის ეპარქიიდან თავის შვილის წასაყვანად ერთმა მოსულმა მღვდელმა ერთი კვირა შეიცადა და სიამოვნებით უყურებდა ბ-ნ მატარაძის მეცადინეობას მეფუტკრეობის შესახებ. წელიწადია, რაც დანიშნულ იქნა ამ სასწავლებელში ხსენებული მასწავლებელი. მან პირველად შემოიღო ამ სასწავლებელში მეფუტკრეობა, ბუნდოვანი სურათები, გიმნასტიკა, წიგნთსაცავის საქმე სხომრიგიანად აწარმოება და სხ...

ბ. მატარაძე არის ნამდვილი მუშა და ჯერ ჯერობით დაუღალავი მასწავლებელი. ვისურვებთ მის წარმატებას. გაუმარჯოს მას, გაუმარჯოს თანამგრძნობთა და ამ კეთილ საქმეში მიმბაძველთა მისთა.

მღვდ. დიმიტრი ბერულავა.

საქართველოჲს

ძველი დროჲს თავგადასავალი,

(გაგრძელება *).

ძლევაშემოსილის დავით მეფისა და აღმაშენებელისა მიერ ოთხას წელს თურქთაგან დაპყრობილის ტფილისს ქალაქისა გამოღება თურქთა ხელთაგან, და მოსპოლვა თესლისა მათისა ქალაქსა მას შინა.

ძლევა მოსილმან მეფემან არღა ჰყო ხანთა ზმულობა,
მოვიდა ტფილისს, მოიცვა, ჰყო რაზმთა გარმოდგმულობა,
შელეწა კარნი, შემუსრა, ციხის მცველთ ჰმატა წყლულობა,
აღიღო ციხე თურქთა, ჰყო დაკრულთა გამოსხმულობა.
მოსწყვიტნა მათნი კრებულნი, რაცა მუნ იპოებოდეს,
მძორთა მათთ ზედა მფრინველნი და მხეცნი მრავლად ძღებოდეს,
განჰსწმინდნა, თურქთა სახელნი მუნ არღა იხსენებოდეს,
ოთხას წელს მათგან პყრობილნი ადგილნი განათლდებოდეს.
დასცა მისგითნი, საცეცხლე სადა ვით იპოებოდა,
ეკლესიანი შეამკო, ძველ შენნი განახლდებოდა,
სამღვდელო დასი ქალაქსა დიდებად იარებოდა,
წმინდანი აიაზმანი ყოვლს კიდეს ეპკურებოდა.
თვისსა ძალის მომცემელსა მეფე მადლსა შესწირვიდა,
აღავლენდა მადლობასა, მოუკლებლად ცრემლსა ღვრიდა,
ერთსა მსგეფსსა დაუცადლად ყოვლს საყდარსა ზარსა ჰკვრიდა,
სამღვდელოთა შესამოსელთ ოქრო ქსოვილთ უკერვიდა.
მერმე ანიჭა ლაშკართა, აღავსნა თანა ხლებულნი,
უბოძა ნება სახლს წასვლად, ჰმგზავრობენ გახარებულნი,
თვით დაჯდა შვება განცხრომად, ახლდენ ლოდბართა კრებულნი,
ესრეთ ჰყვეს ჟამნი მრავალნი მათ ლხინით გატარებულნი.

კვალად სულთნის განძვინებით აღძვრა დავით მეფესა და აღმაშენებელსა ზედა, შეკრება სრულისა სპარსეთისა, მოსვლა ქართველთა ზედა და შეპყრობა შარვანშასი, და შამახიის ციხის დაპყრობა სულთნისაგან.

კვლავ აღიზრზინა ქართველთ ზე სულტანმან გული მწარია,
შემოიკრიბა რაზმები, გამოვლო თვისი მზღვარია,
სძლია, შარვანშა შეიპყრა, შეკვრით ჰყო ნალმობარია,
დაიპყრა შამახიაი, დამუსრა ციხის კარია.
წარმოუვლინა დესპანი დავითს ზეგარდმო სვიანსა,
ეთქვა, შენ ხარო მეფეი ტყისა და მყოფი კლდიანსა,
ანუ წარმომეც ძღვენი და სულტანსა დიდებიანსა,
ან მოვედ მნახე, მოშორდი მაგა სადგურსა ქვიანსა.
რა მოციქული იხლა მეფესა სიბრძნით ქებულსა,
შესთვალა, დია გიხილო, სრულ ვჰყოფ მე შენს ბრძანებულსა,
იგი გაგზავნა, ლაშკარსა ჰყოფდა მსწრაფლ მომზადებულსა,
ვისცა მიერმა ბრძანება, ვერ სცნობდი დაყოვნებულსა.
თვით ყივჩაყელნი იახლნენ ხუთ ათჯერ ათასებია,
გიორგიელნი ურიცხვნი, გულ-ლომნი, მკლავ მაგრებია;
განაწყო, რაზმთა სპასპეტნი ამხედრდენ, განვლეს გზებია,
მცნობმან სულტანმან მირიდა, ჰყო შამახს სიმაგრებია.
ერთ კერძო ციხე სიმაგრედ გარე მოივლო თხრილები,
შიგან შევიდა, სპარსნი და იყვნენ ტევრულად ხშირები,
დიდად შეშინდნენ, ახსოვდათ მეფისა სიმხნით ქმნილები,
ჰსთქვეს, მისი ბრძოლა კაცთაგან არა არს საადვილები.
მეფესა ესმა, ღვთისადმი, არს მადლობისა მთქმელია,
დავრდომით თაყვანის-ჰსცემდა ქებისა შემწირველია.
წყალობა შენი ჩემზედა მდიდარ არს საკვირველია,

---

*) იხ. „მწყემსი“ № 10, 1896 წ.

ვსცან, მეუფეო, მონასა მცავს შენი საფარველია!
რა ჰსცნა სულტანმან მეფისა მებრძოლთა მიახლებანი,
შეძრწუნებულსა შიშითა აქვს ხმისა შემოკლებანი,
უთვლიდა აჯა ქენვითა, მაღირსე ესე ნებანი,
მომეც გზა, განვლო მშვიდობით, არ შემამთხვიო ვნებანი.

რანის მბრძანებელის ათაბაგისა მოსვლა მრავლისა ათასისა ლაშკრითა ბრძანებითა სულტნისათა, რომელიცა დიდად იქადოდა მეფეს და ქართველთა ზედა, რომელსაცა გადუდგნენ წინაშე ლომნი ქართველნი, მოსწყვიტნეს სპანი მისნიდა თვით გაქცეული შეივლტო წინაშე სულტანისა.

მასვე ჟამს სულტნის ათაბაგს, რანისა მბრძანებელსა და
მოჰყვანდა რაზმი ურიცხვი მას თვალ უწთომილს ველსადა,
იტყოდა, ვინმცა განეროს ძლიერსა ჩემსა ხელსადა,
ეძებდა თვისსა სულტანსა, იქადდა მახვილს მჭრელსადა.
ზე შეხვდნენ მეფის გუნდები, შეექმნათ ჯავშანთ ჩხარანი,
ფიცხლად ეკვეთნენ, სასტიკად ურთერთის მემუქარანი.
დაფრიწეს სპარსთა სიმრავლე, ადინნეს სისხლის ღვარანი,
მოსწყვიტეს, განდრკენ, განივლტნენ, რბიან სრბით უკუნ მჩქარანი.
შეშინებული მიიჭრა სულტანთან ათაბაგია,
ჰკადრა, ხელმწიფევ, ამოვსწყდით ვინ ებრძვის ქართველთ შმაგია,
სრულად აღავსეს მძოვრითა ომისა ნაალაგია,
არმად შეგვიქმნეს სიცოცხლე, დღენი გვცეს მოსაძაგია,
შეწუხდა მეტად სულტანი, ჰყო გლოვა სრულად არითა,
თავთა იყრიდნენ მიწასა, იყვნენ გონება შტერითა,
ხმობდენ, დავჰარგეთ სახელი ღიდებით მრავალფერითა,
რა გვრჯოთა, ტყეთა მეფესა შებრძოლვით გავემტერითა!
ბრძოლა არ ძალ გვაქვს, სიყმილი გვხოცს ციხეს შემწყვდეულებსა,
ვისცა მიესმის, საკიცხრად სდებენო ჩვენგან ქმნულებსა;
აწ არა ვიცით, რა გვმართებს, ვართ მტერთა შუა გულებსა,
ვითა განვერნეთ ქართველთა მამაცად ზე დასხმულებსა.
სულტანი კაცის მიგზავნით მეფესა ეხვეწებოდა,
მომეც გზა, განვლო მშვიდობით, ქენებით ეაჯებოდა,
არღა მთხოველი ხარკისა მრავლის ძღვნით ევედრებოდა,
დავითის შიშით ვეშაპი, სცანით, ვით დამდაბლდებოდა.

დიდისა და ზვავისა მის სულტნისა დავით მეფისა და აღმაშენებელის შიშით გაპარვა მცირედითა ოდენ ერთგულითა თვისითა შამახიის ციხით და დატევება ლაშკართა და უზომოთა სიმდიდრეთა თვისთა.

მას ღამეს სულტანს გარემო მოუდგნენ თანაზრდილები,
უბრძანა დამხსნით სიკვდილსა, ხართ ჩემნი ვითა შვილები,
თუ ვითა სიმხნით ეცდებით, იყვენით დაჭურვილები,
მე გამაპარეთ იდუმალ ქართველთ რა შექმნან ძილები.
იდარაჯეს, ჟამი შეხვდათ მათგან თხოვით საწადელი,
შესხდენ ცხენთა, საპარავი იყო ერთგან დიდი ხვრელი,
მუნით განვლეს, განიპარნენ, დაშთათ უნჯი საკვირველი,
სხვა ურიცხვნი მოლაშკრენი მუნვე იყვნენ უგრძნობელი.
ვითა მპარავი განივლტო სულტანი შეშინებული,
მცირითა თანაზრდილითა დასტევა თვისი კრებული,
მირბოდა ვითა მფრინველი, ფრთე ცემით მოსწრაფებული,
თუ თავს მოარჩენს, არ ახსოვს უნჯი მუნ დატევებული.
გათენდა, იგრძნეს სარკინოზთ სულთანი გაპარული და,
გლოვა შეედვათ, სასტიკი ხმა ზეცად აღწეული და,
ძრწოლა დაეცათ, მამაცი მათ შორის გამდედრული და,
ქართველთა მეფე მათზედა შავარდნებრ მიტეული და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულებანი.

I

სოფლის სიმონეთის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდლის ალექსი ყიფშიძისაგან გაზეთში გამოსაცხადებლად ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულის გაზეთ «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ რწმუნებულ ჩემდამო ეკ კლესიის მრევლთ მასზედ, რომ მე ერთ დღეს წავუკითხე «მწყემსი»-ს მეორე ნომერში მოწოდებითი სტატია, რომელშიდაც მოთავსებული არის სოფ. ხრეითის (შორაპნის მაზ.) და სოფ. წესის (რაჭის მაზ.) დაზარალებულ ხალხთა წყლითა და მიწის ზვავისაგან და მასთან განვუმარტე მათ, თუ რა დიდი მადლი არის მათი შემწეობა. ამაზედ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და არ დაზოგეს თავიანთი წვლილი და იმავე დღეს შეიკრიბა მათგან 19 მან. და 9 კაპ. აი სია შემომწირველთა:

ივანე ჩიხლაძემ 2 მ. 15 კ; დავით ჩიხლაძემ 1 მ. 40 კ.; მიზანა ჩიხლაძემ 1 მ.; სპირიდონ მაჩიტაძემ 1 მ.; ყარამან ზაქარიაძემ 1 მ.; სპირიდონ ამბრალაძემ; 1 მ; სპირიდონ ღვინეფაძე 80 კ.; პეტრე ხოსალაშვილმა 50 კ.

ორ-ორი აბაზი:

ივანე ბუიღლიშვილმა; დიმიტრი გვენეტაძემ; ნესტორ ბუიღლიშვილმა; ნიკო უგლავამ.

იერემია ნიკოლაძემ 35 კ, გიორგი დათუაძემ 30 კ, გიორგი ლიკლიკაძემ 25 კ.

თითო აბაზი.

ზონე კირკიტაძემ; ზაქარია ცერცვაძემ; ეგნატე ფუტკარაძემ; ნესტორ ხუჯაძემ; ივანე ხოსიაშვილმა; ალექსი გვენეტაძემ; ბესარიონ ზაქარიაძემ; აფრასიონ ხოსიაშვილმა; პავლე ჩიხლაძემ; თეიმურაზ ფანჩულიძემ; ამირან გოქაძემ; ივანე ნიკოლაძემ; სისო ნიკოლაძემ; სამსონ ლიკლიკაძემ; სიმონ ხოსიშავილმა; სურათი ცერცვაძემ; ფარსადან ნიკოლაძემ; კესარია ნიკოლაძემ; ივანე ხოსიაშვილმა; ლავრენტი ხოსიაშვილმა; როსტომა ცერცვაძემ; ბესარიონ გვენეტაძემ; გიორგი ცერცვაძემ; პეტრე ლანჩავამ; ბარბარე ბებიაშვილის ქალმა; სპირიდონ გვენეტაძემ; პარმენ გოქაძემ; ვლადიმერ გვენეტაძემ; ამბაკო გვენეტაძემ; ალექსანდრე ხოსიაშვილმა, იორდანე ხოსიაშვილმა, ლუკა ლანჩავამ, სარდიონ ზაქარიაძემ.

სამ-სამი შაური:

მიხელა ხოსიაშვილმა, ევა ბეიღლისამ, თევდორე ბოგვერაძემ, ივანე ხოსიაშვილმა.

ორ-ორი შაური:

პელაგია ბეიღლისამ, ამირან გოქვაძემ, ერმილე ლიკლიკაძემ, იულონ მუშკუდიანმა.

დათა ბოგვერაძემ 9 კ., სიმონა ხოსიაშვილმა ერთი შაური.

ცხრამეტი მანეთი და ცხრა კაპ. გარდაეცა ჩვენგან შორაპნის მაზრის დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს.

რედაქტორი.

II

მღვდლის სიმონ კახეთელიძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ' რომ თქვენის პატივცემულის „მწყემსი"-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა შევსწირო ბლაღოჩინს მღვდელს მ. ივლ. აბესაძეს, რომელმაც გამომიგზავნა მის მიერ შეკრებილი ცამეტი მან. ფული სასარგებლოდ რწმუნებული ჩემდამო საეპეკო უდროოდ გარდაცვალებული მღვდლის ილარიონ კობახიძის ქვრივ-ობლისა. საწყალი ქვრივი თავის ხარჯით შევიდა სასწავლებლად თბილისის საბებიო შკოლაში, ხოლო პატარა ობოლი მისი ბებიის ხარჯით იზრდება ძიძასთან.

აგრეთვე იმედი მაქვს, რომ სხვა ბლაღოჩინებიც, რომლებსაც მ. აბესაძესთან ერთად მივმართე ხსენებული ქვრივ-ობლის შემწეობისათვის, უყურადღებოდ არ დატოვებენ ჩემ თხოვნას.

სახელმძღვანელონი და სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლში და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის ხმარებელთ აღარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ორ დათხან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმაღლეს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ აბაზ უნახევროდ (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თოთხმეტ შაურად და ვინც ოც-და ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართული ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მერვე, ფასი ორი შაური ნაღდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეკნიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსაორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყმაწვილთათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ივანანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით. მეორე გამოც. ფასი 10 კ.

მირიანადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для уащихъ" одобрено для библіотекъ низшихъ и средничъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующам. (смотри „Сборникъ" распоряженій по управленіюоКавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомедовано. „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები უმთავრესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ქუთაისში: ბესარიონ ნიჟარაძის... წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ქუთაისში: ბეჟანიშვილთან, ქიქოძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ფოთში—ტულუშთან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სუჯუნში ქავჭავანიძესთან, ყვირილაში—არაბიძესთან, საჩხერეში ყარამან ჩხეიძესთან, სურამში და ხაშურში შუღლაიასთან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—მეხილ ცისკარაშვილთან, სიღნაღში ამხანაგობის მაღაზიაში, ვლადიკავკაზში მასწავლებელ ბოცვაძესთან. 15—9.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

ოფიციალური განყოფილება: უმაღლესნი მანიფესტნი.
სალიტერატურო განყოფილება: სამღვდელოების კრება ქ. ქუთაისში 27, 28 და 29 მაისს.—არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნეკროლოგი),—კორრესპონდენცია სამეგრელოდან.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.—შეწირულებანი.—
— განცხადება.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою, Тифлисъ 15 Іюня* 1896 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханаповыхъ, на Нѣмецкой ул.